

# სადამრიგებლო პროგრამა

## სადამრიგებლო პროგრამის არსი

დამრიგებელი არის სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის ორგანიზების პირველი რგოლი. მისი მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას მოსწავლეს უვითარებს სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

სადამრიგებლო პროგრამა ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას და მისი განუყოფელი ნაწილია.

დამრიგებელთა შერჩევა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში, პიროვნული თვისებების პროფესიული დონისა და ღირსებების გათვალისწინებით. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა კლასში მეგობრული, ადამიანური უფლებების ჩამოყალიბება.

## დამრიგებლის უფლებები და მოვალეობები

1. დამრიგებელს უფლება აქვს გამოიყენოს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები.
  - ა. დამრიგებელი ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად, სკოლა-პანსიონის წესდების, შინაგანაწესის, დებულებისა და სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით;
  - ბ. დამრიგებელი სკოლაში უნდა გამოცხადდეს გაკვეთილების დაწყებამდე 20 წუთით ადრე;
  - გ. შემოიღოს კლასში მოსწავლეთა მორიგეობა პასუხისმგებელი მორიგის გათვალისწინებით. დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური, ან/და სხვა პრობლემების გადაჭრაში;
  - დ. დამრიგებელს ევალება მშობლებისათვის შვილის დისციპლინისა და აკადემიური მოსწრების გაცნობა თვეში მინიმუმ ერთჯერ (ინდივიდუალურად);
  - ე. სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის ყოველდღიური შემოწმება, მოსწავლის მიერ გაკვეთილის/გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში, გაცდენის მიზეზების დადგენა;
  - ვ. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასაწყისშივე მოახდინოს მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში, მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
  - ზ. დამრიგებელს ეკრძალება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის, დისციპლინური გადაცდომის შესახებ, მშობელთა კრებაზე საუბარი, დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების გაცნობა სხვისი თანდასწრებით;
  - თ. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დასრულებისას გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი, აღნიშნულის საფუძველზე დაწეროს თითოეული მოსწავლის დახასიათება;
  - ი. დამრიგებელი ვალდებულია, მოსწავლის წლიური შეფასების დაბალი/5 ქულაზე ნაკლები მაჩვენებლის შემთხვევაში, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე

მოსალოდნელი არასასურველი შედეგების შესახებ და იზრუნოს მომდევნო სასწავლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესის აუცილებლობაზე;

2. დამრიგებლის მუშაობის პრინციპია - აღზრდის მთლიანობა, აქტიური პიროვნების აღზრდა, მოსწავლეთა ჩართულობა და თანამშრომლობის პრინციპები;

ა. დამრიგებელი პასუხისმგებელია კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებასა და სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელებაზე;

3. დამრიგებელი ვალდებულია იზრუნოს, მოსწავლეთა ჩართულობით, საკლასო ოთახის ესთეტიკურ გაფორმებაზე და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე;

4. დამრიგებელი ვალდებულია მოამზადოს მოსწავლეები და უზრუნველყოს კვების ბლოკში, სპორტისა და ცეკვის გაკვეთილებზე ორგანიზაციულად გამოცხადება;

დამრიგებელი პასუხისმგებელია დირექტორთან წარსადგენი დოკუმენტის შევსებაზე, მათ შორის ნიშნების ფურცლის ზუსტად შევსება, კ/საქმის წარმოება(ყოველი სემესტრის ბოლოს კომენტარებისა და სასწავლო წლის ბოლოს დახასიათება/კომენტარები, შეფასება, გაცდენების მითითებით), ატესტატის შევსება, ატესტატის გაცემის წიგნში ნიშნების გადატანა ცდომილების გარეშე .